განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული პროცედურული საკითხების დაზუსტებას, რომლებიც გამოიყენება როგორც მორიგი, ისე რიგგარეშე და შუალედური არჩევნების ჩატარებისას. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტი ემსახურება არჩევნების შეფერხების გარეშე ჩატარებასა და ტექნიკურად გამართული საარჩევნო პროცესის წარმართვას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ის ტექნიკური და პროცედურული საკითხები, რომელთა გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი, წესრიგდება საქართველოს საარჩევნო კოდექსით. შესაბამისად, ამ საკითხების მოსაწესრიგებლად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, გასწორდება ის ტექნიკური და პროცედურული ხარვეზები, რომელთა აღმოსაფხვრელადაც არის ინიციირებული წარმოდგენილი კანონპროექტი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით:

- ზუსტდება, თუ ვინ არ შეიძლება იყოს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენელი (44-ე მუხლის მე-5 და 5^1 პუნქტები).
- განისაზღვრება, რომ არჩევნების მეორე ტურის ჩატარებისას (76^1 მუხლის მე-9 და მე-12^1 პუნქტები):
    - საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში კომისიის წევრთა რაოდენობის ნაცვლად 12-მდე შევსებისა, გათვალისწინებული იქნება 17-მდე შევსება;
    - საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად არ შეიძლება დაინიშნოს ამავე საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების პირველ ტურში წარდგენილი კანდიდატი.

- ამოღება ხდება საქართველოს საარჩევნო კოდექსის 143-ე მუხლის მე-6 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა, რომლის თანახმადაც, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს პარტიულ სიაში მითითებული კანდიდატის იმავე მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად წარდგენის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს ამ მუნიციპალიტეტის, შესაბამისი საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი.
- ზუსტდება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან საქართველოს პარლამენტის მომდევნო პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნების დანიშვნის დღემდე საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების გასამართად გამოსაყენებელი ზოგიერთი ნორმა (198-ე მუხლი). მაგალითად, მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები გაიმართება მაისში ან ოქტომბერში, საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით. თუ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება 15 თებერვლიდან 15 ივლისამდე შეუწყდა, საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები გაიმართება იმავე წლის ოქტომბერში, ხოლო თუ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება 15 ივლისიდან 15 თებერვლამდე შეუწყდა – უახლოეს მაისში.
- გარდამავალი პერიოდისათვის დგინდება ცესკოს მიერ ზოგიერთი პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განხორციელების შესაძლებლობა (203[6] მუხლი).
- გარდამავალი პერიოდისათვის განისაზღვრება ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის საკითხი (203[7] მუხლი).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიციირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით გათვალისწინებული კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, რადგან იგი, მისი მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ ითხოვს ამოქმედების უფრო გვიანდელი ვადის დადგენას. წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის გათვალისწინებული ასიგნებები. ამასთანავე, გარდამავალ პერიოდში ცესკოს მიერ ზოგიერთი პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს არჩევნების ჩატარებისათვის დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფის საჭიროება, რაც დაკავშირებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსების გამოყოფასთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე შემდეგი თვალსაზრისით: კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203[6] მუხლი ითვალისწინებს გარდამავალ პერიოდში ცესკოს მიერ ზოგიერთი პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განხორციელებას. შესაბამისად, კანონპროექტის მიღებამ ამ კუთხით შესაძლოა გამოიწვევს ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში იმ ოდენობით, რაც საჭიროა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველსაყოფად, შრომის ანაზღაურებისა და სხვა ხარჯების გასაწევად. ამ ხარჯების ოდენობა დამოკიდებულია იმ გარემოებებზე, თუ რა რაოდენობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენა და რა რაოდენობის ადამიანური რესურსი იქნება საჭირო კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხების უზრუნველსაყოფად.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღების შედეგად შესაძლოა გაიზარდოს იმ პირების შემოსავლები, რომლებისგანაც განხორციელდება კანონპროექტით განსაზღვრული საკითხების შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს (ფულადი შენატანს).

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და,

მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: გივი მიქანაძე, გიორგი ამილახვარი, ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, გურამ მაჭარაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: გივი მიქანაძე, გიორგი ამილახვარი, ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, გურამ მაჭარაშვილი.